ფრთხილად: პროვოკაციაა!

სულ ახლახან, 2019 წ. 8 იანვარს ბატონმა ედიშერ ჭელიძემ თავისი შრომების საიტზე (https://edisherchelidze.blogspot.com) გამოაქვეყნა 1999 წლით დათარიღებული წერილი "მოუნათლავ ჩვილთა შესახებ", რამაც ფრიად დაგვამწუხრა. დაგვამწუხრა, რადგან რამდენიმე წლის წინ თავის ვიდეო ქადაგებაში "ჩვილების ნათლობის შესახებ" (https://www.youtube.com/watch?v=e8qqnMIZTpc) მან თითქოს აღიარა თავისი უწინდელი ცდომილებები, რამაც იმედი ჩაგვისახა იმისა, რომ იგი განთავისუფლდებოდა მწვალებლური მოსაზრებებისაგან. თუმცა ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ბ–ნ ედიშერს არ უნდათ, რომ ეკლესიაში იყოს სიმშვიდე და თანხმობა, და ძელი წერილის კვლავ გამოქვეყნებით სურთ, ისევ შემოიტანოს შფოთი, ვნებათაღელვა ეკლესიაში, მსგავსი იმისა, რომელიც სუფევდა გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც ბ–ნი ედიშერი და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ მწვალებლუური სწავლების, – უნათლავად, ქრისტეს გარეშე ცხონების შესაძლებლობის დამკვიდრებას.

გამოქვეყნებულ წერილში ბ–ნი ედიშერის მსჯელობას სავსებით მიესადაგება წმ. ილია მართლისეული ეპითეტი "აბრუნდი". ბ–ნი ედიშერი წმ. მამების გამონათქვამებიდან ამოკრეფს, უფრო სწორად ამოგლეჯს ცალკეულ გამონათქვამებს, თვითნებური ინტერპრეტაციის გზით წმ. მამებს მიაწერს მოსაზრებებს, რომლებიც მათ არ ჰქონიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პირიქით, ისინი სხვა ადგილას სწორედაც რომ ამ მწვალებლური მოსაზრებების საწინააღმდეგო, მართებულ ეკლესიურ სწავლებას ქადაგებენ, და ასეთი "აბრუნდით" იგი ცილისმწამებლურად ცდილობს, თავის მწვალებლურ მოსაზრებებში დაიმოწმოს წმ. მამები, რითაც შეცდომაში შეყავს გაუთვითცნობიერებული და გამოუცდელი მკითხველი. გვებადება სამართლიანი ეჭვი და კითხვა: საერთოდ, მორწმუნეა ეს დამიანი, აქვს კი მას ღვთის შიში? ვის ჭირდება მისი სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული მართებული მოსაზრებები, თუკი მის სულსა და გონებას მწვალებლობის ჭია ღრღნის და იგი სულის დამღუპველ სწავლებებს ასე უხვად აფრქვევს საეკლესიო სივრცეში?

თითქმის ოცი წლის შემდეგ აღნიშნული, შფოთის შემომტანი საკითხის ეკლესიის სივრცეში კვლავ შემოტანის მცდელობას ჩვენ პროვოკაციად ვაფასებთ. მოგიწოდებთ ყველას, არ აყვეთ ამ პროვოკაციასა და თავი შეიკავოთ პოლემიკის გაჩაღებისაგან. გაუთვითცნობიერებულ პირებს კი შევახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნულ წერილში გამოთქმულ მწვალებლურ აზრებსა და სხვა მსგავს მოსაზრებებს პასუხი გასცა საქართველოს ეკლესიის 2000 წელის 14 დეკემბერს ჩატარებულმა წმინდა სინოდმა. გათავაზობთ წმ. სინოდის განჩინებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

* * *

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
წმიდა სინოდის სხდომის ოქმი

14 დეკემბერი, 2000 წელი, თბილისი

ა.წ. 14 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმიდა სინოდის სხდომა, რომელზეც რამდენიმე აქტუალური საკითხი იქნა განხილული.

V. წმიდა სინოდმა განიხილა მოუნათლავად გარდაცვლილ ჩვილთა და მუცელში მოწყვეტილთა ცხოვნების საკითხი.

წმიდა სინოდმა განაჩინა: პიროვნების სულის ცხოვნების შესახებ ეკლესიური მოძღვრება გვასწავლის, რომ ცხოვნებისათვის აუცილებელია ცოდვების მიტევება. წმ. იოანეს სახარებაში წერია: "უკეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისა“ (იოანე 3.3).

მეორედ შობა ნიშნავს ახალი ადამიანის სულიერ დაბადებას. სარწმუნოების სიმბოლოს IX მუხლის მიხედვით, ცოდვათა მიტევება შესაძლებელია ნათლისღებით: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა“ – კართაგენის საეკლესიო კრების 110-ე მუხლის თანახმად "ჩვილებიც ნათელს იღებენ ცოდვათა მისატევებლად“. ამ კანონით კართაგენის საეკლესიო კრება გვახსენებს, რომ ყოველ პიროვნებას, გარდა პირადი ცოდვებისა, გააჩნია აგრეთვე ადამისმიერი ანუ პირველქმნილი ცოდვაც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ჩვილებიც, რომელთაც არ გააჩნიათ პირადი ცოდვები, საჭიროებენ ნათლისღებას, რათა განიწმიდონ პირველქმნილი ცოდვისაგან.

სახარების მიხედვით ნათლისღებაში იგულისხმება ასევე ჯვარცმა და სიკვდილი. უფალი ბრძანებს: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ, და ნათლისღება, რომელი მე ნათელ ვიღო, ნათელ-იღოთ…“ (მათე 20,23). ამიტომ, ქრისტესათვის წამებულნი, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული წყლით ნათლობა, ღვთის მადლით განიწმინდებიან ცოდვათაგან, ანუ იშვებიან მეორედ და ისევე, როგორც ნათელღებულნი, დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს ანუ ცხონდებიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორედ შობის ანუ ცოდვათაგან განწმენდის გარეშე სასუფევლის დამკვიდრება ანუ სულის ცხონება შეუძლებელია.

* * *

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი